

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ორშაბათს და ხუთშაბათს №118 (1628) 25-28 დეკემბერი, 1997 წელი ფასი 50 თეთრი

ფსიქიატრებო, ან კი თქვენ!

როსტომ ჩხეიძე
მეთხე გვერდი

საქართველო გვიღობ რუსთაველის გამზირი ყოფილა

მესამე გვერდი

გამეშა გიორგბაძე:
„ბარე ორი
ხელისუფლება
დავიყუდაბია
და კიდე
დავაყუდაბ,
თუ ასე
გაბრძელდება.“
მეათე გვერდი

თენგიზ სიგუა
აბენტებსა,
აბენტურაზე
და სხვა
საკითხებზე

2

ალბათ
„გასანიგალებული“
ღარიბაშვილი
კამერაში
დანა-ჩანგაღსას
პოითსოვს
მეთორმეტე გვერდი

დაუფარავი პოლიტიკური
ცინიზმი საქართველოსა და
ქართველი ხალხის მიმართ

8

„დასავლური“ საქართველო:
პიტიუბი და რეპრობა

7

თაბაშიზ სიბუჯა აბენბებსა, აბენბურაზი და სხვა საკითხებზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ზურაბ ჟვინია

„შედეგების დაზარალებულნი“
უნდა მოეწოდებინათ გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან თბილისსა და აჭარის ურთიერთობასთან დაკავშირებით“
- განაცხადა ბიუროს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ზურაბ ჟვინიამ მისი თქმით, უნდა შეიქმნას გარკვეული ჯგუფი, რომელიც წლის ბოლომდე ჩამოაყალიბებს მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით და შეცდობა ურთიერთობის დარღვევების ცენტრსა და აჭარის შორის. (გეა)

გადაწყვეტილება გააუქმებს მთელი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 3 ივნისის განკარგულებას „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საწვრთნელი პოლიგონის ფუნქციონირების შესახებ“ - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, განკარგულების შესაბამისად საკითხის შემსწავლელი სახელმწიფო კომისია კი შეიქმნა, მაგრამ განკარგულების მფორე და შესაბამე პუნქტი, რომლის მიხედვითაც კომისიას შეეძლო შეამოწმებინა და დაინტერესებული უწყებათა წარმომადგენლებს მონაწილეობით პოლიგონზე ჯარების სასწავლო წვრთნა უნდა მოეწყო რეგულარულად, უნდა დაეზღვიებინა წინადადებები სამხედრო-საწვრთნელი პოლიგონის საათის ახალი ტერიტორიის შესარჩევად, ფაქტიურად არ შესრულდა. გამოვიდა, რომ 30 კაციანი კომისიიდან, რომელშიც ყველა შესაძლო დანტერესებული უწყების წარმომადგენლები შევიდნენ, საკითხით დაინტერესებული მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო აღმოჩნდა - აღნიშნა გენერალ-ლეიტენანტიმა. მისივე თქმით, საქმე, რომელიც სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა წყდებოდა, არ შეიძლება პოლიტიკური საქმეების დასაპირადი ინტერესების დასაცემად იქნეს გამოყენებული. მინისტრის მოადგილე იმედოვნებს, რომ ამოღებულ იქნას სამხედროთა აბრძოლა პრეზიდენტის განკარგულების შესახებ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ განკარგულებას „ყური მოუყრა“. (გეა)

მეორე გვერდიდან

ადოს „გაზრომის“ ჩვენი ვალიდან. ასე ვთქვათ, ჩათვალა მოხდეს.
- რუსებს ჩვენთან, მეორე, არც არაერთხელ, პატრონად არ უთამაშობთ. თუნდაც „ჩერნომირდის მანდარინები“ გაიხსენებთ.
- თავებები არიან. ეთიმ დღეს სამიტი ვებარგო გამოაცხადა აუხაზე-თის მიმართ. მხოლოდ მანდარინებზე არაა საქმე. მთელ სასიცოცხლო-სტრატეგიულ პროდუქტს ვინ აძლევს? ან ფული. საიდან ტრიალებს იქ რუსული ფული? რატომ არ მოსთხოვს მოსკოვს ჩვენი ხელისუფლება, რა უფლებით ტრიალებს აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ფული. ეს ხომ ეკონომიკურ-ფინანსური დივერსიაა.
- როგორ ფიქრობთ, აფხაზეთი დაგვიბრუნდება?
- დარწმუნებული ვარ. მაგრამ ისეთი მეთოდებით, რასაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, არაფერი გამოვა პირველ რიგში ძალიან მკვეთრი დიპლომატიური დემარშებია საჭირო. რატომ გვაიწვევდა, როგორ მოქმედებდნენ უკრაინა ყაზახეთი, ბალტიისპირეთი? საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა პირველი პრეტენზიები საქართველოს კი არა, უკრაინას წამოუყენა. „ხარკოვის და დონეცის ოლქები ჩვენიაო“. გაიხსენებთ, რა ამბავი ატეხა მაშინ კრამჩოქმა. ორ თვეში მოხსნა რუსეთმა თავისი პრეტენზიები. შემდეგ მიხატა ყირიმის ნახევარკუნძულს. უკრაინამ ისევე მძლავრი დიპლომატიური დემარშებით მოახერხა თოფის გასროლის გარეშე მოეხსნა და გაენიჭებინა ეს საკითხი. შემდეგ იყო შავი ზღვის ფლოტის გაყოფის დიპლომატიური ომი. აქაც უკრაინამ მიადგინა იმას, რომ ახლა იმდენი გემი ჰყავს, არ სჭირდება და ყუდის კიდევ უკვე 150 მილიონ დოლარზე მეტი ამოიღო აქედან.

საქართველო ნაჩუქარი 5 გემით ფლოტს შექმნის

- ჩვენ მაშინ ხმა არ ამოვიღეთ, რატომ გართმობთ? ახლა კი ფლოტის გარეშე ვართ დარჩენილი.
- ყველაფერი აღრიცხულია 32 გემი გვეყვინის, რომელიც ნოვოროსისკში დგას. ახლახანს რუსეთის სამხედრო დელეგაცია ხომ იყო ჩამოსული, 4 გემზე თანხმდებოდნენ. ჩვენი სპეციალისტები ჩაივინდნენ მათ სანახავედ და ჯარით აღმოჩნდა ამიტომ უარი თქვეს. ჩვენ კატეგორიულად უნდა მოეთხოვოთ ჩვენი წილი, ის გემები, რომლებიც იმყოფებოდნენ ფლოტის საზღვაო ბაზაზე. რაც შეეხება ფლოტს, უკვე ნელ-ნელა გროვდება. უკრაინა 2 გემს გეტყუქის ბრიტანეთი, საბერძნეთი და თურქეთი თითო-თითოს. რუსეთს კი უნდა მოეთხოვოთ. რატომ, კაცო, თუ არ გვებრძება, გაეყიდეთ და ბიუჯეტს შეაუხებთ ყველა კაპიკზე რომ გვაქვს ხელი გაწვდილი, კარგა? სანამდე უნდა ვიღოთ ვალები.



სული, 4 გემზე თანხმდებოდნენ. ჩვენი სპეციალისტები ჩაივინდნენ მათ სანახავედ და ჯარით აღმოჩნდა ამიტომ უარი თქვეს. ჩვენ კატეგორიულად უნდა მოეთხოვოთ ჩვენი წილი, ის გემები, რომლებიც იმყოფებოდნენ ფლოტის საზღვაო ბაზაზე. რაც შეეხება ფლოტს, უკვე ნელ-ნელა გროვდება. უკრაინა 2 გემს გეტყუქის ბრიტანეთი, საბერძნეთი და თურქეთი თითო-თითოს. რუსეთს კი უნდა მოეთხოვოთ. რატომ, კაცო, თუ არ გვებრძება, გაეყიდეთ და ბიუჯეტს შეაუხებთ ყველა კაპიკზე რომ გვაქვს ხელი გაწვდილი, კარგა? სანამდე უნდა ვიღოთ ვალები.

უმძიმესი მდგომარეობაა. სანამდე უნდა ემყარებოდეს ღარი კურსი საგადასახად ფონდის მიერ მოცემულ კრედიტს? ყველა ქვეყნის ეროვნულ ვალუტას ბევრი ფაქტორი ამარებს, მაგრამ უმნიშვნელოა ესაა, რამდენად კარგად მუშაობს ეროვნული ეკონომიკა და არის თუ არა ეროვნულ ბაზაში ოქროსა და მყარი ვალუტის საიმედო რეზერვი. ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე, ნასესხებით ცეცხლოვით. როდესაც ღარი მერყეობს იწყებს, ჩვენი ეროვნული ბაზა ახორციელებს ექსტრემული ბანკოშორის ბირჟაზე და ამით ხელსაყრელად იჭერს ღარს. ღარის დოლართან არარეალური შეედრება ხელს უშლის ჩვენი ეკონომიკის განვითარებას და კარს უდებს იმპორტს. ექსპორტი კი შეფერხდება და დარწმუნებული ვარ, ამ წლის ბოლოს გარდევს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში მინუს 500 მილიონი გვექნება

ჩვენ ირანს ვუქმნით სამუშაო ადგილებს

- რადგან ვალებზე ჩამოყარდა საუბარი, რამდენად მოგწონთ ჩვენი ხელისუფლების ეკონომიკური კურსი?

უკანონო სოფელში ტურები ჩსპიანს

ბასულ თვეში ვთქვით აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში გიორგობაზე „სანგილიოს“ ვერ ვამბობ, რადგანაც ეს სიტყვა საერთოდ აკრძალულია აზერბაიჯანში. შეზარხოშებულ აზერბაიჯანელ მასწავლებელთან, როგორც იტყვიან, მინიკამათი მომხდა. ამ მასწავლებელმა სხვათა შორის, მითხრა:
- ყოველთვის გემტკიცებდით, რომ კახი, ზაქათალა და ბელაქანი ქართველებსააო. ბოლოსდაბოლოს იგივე თბილისში გარკვეა სიმართლე არა მარტო კახი, ზაქათალა და ბელაქანი, არამედ ბორჩალოც, ე.ი. მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისიც ჩვენი - აზერბაიჯანელების ყოფილა.

დავინტერესდი, თბილისში როგორ გარკვეა-მეთქი, და შევეკითხე:
- ჩვენ ქართულ გაზეთ-ჟურნალში ტერიტორიების საკითხები საერთოდ არ იბეჭდებოდა. მაინც, თქვენ რა საბუთი გაქვთ, რომ ბორჩალოს მიწები თქვენია და რა უფლებით ითვისებთ მათ? მან ხელში მიმაჩინა აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემული ჟურნალი „მოლა ნასრედინის“ III ნომერი, გადაშალა პირველი გვერდი. სამახსოვროდ „მაჩუქა“ და წამკითხა:

საქართველო მხოლოდ რუსთაველის გაფიჩი ყოფილა

ბორჩალო აზერბაიჯანის უმეტესი და ისტორიული მხარეა. იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. მე-18 საუკუნის დასაწყისში ბორჩალო შედიოდა განჯის საბეგლარ-ბეგოს შემადგენლობაში.
1736 წელს მუღანში განჯის ბეგლარ-ბეგი ზიად-ოღლი ირანის ტახტზე ნადირის შაჰად აღზევების წინააღმდეგ გამოვიდა, რისთვისაც ნადირ-შაჰმა ბორჩალო განჯის ბეგლარ-ბეგს წაართვა და ქართლ-კახეთის სამეფოს ანუქა“ (№3, გეპ).
ამ საუკუნის დასაწყისში თბილისში გამოდიოდა ქართველების მეგობარი ჟურნალი „მოლა ნასრედინის“ აზერბაიჯანულ ენაზე. მაგრამ ახომ ისმიალიბედილი „მოლა ნასრედინი“ (ისიც თბილისში გამოდის ოთხ ენაზე) სულ სხვა რამ არის. რა უნდა მოელოთ ჟურნალის რედაქციას, მის რედაქტორს და პუბლიკაციის ავტორს, იმ კარებს, რომელიც „გელათის მონ-

ასტრეში თურმე წამოღებულა განჯიდან“ 1000 წლის წინათ (გე 8, მე-2 აბზაცი) დღეს რომ ითხოვენ ჩვენგან? ქართველების სიძულელით მავრამ, რასაკვირველია არა აზერბაიჯანელების სიყვარულით) გაუღენთილი „საქართველოს რეკომის“ 1921 წლის დეკრეტით აზერბაიჯანის სსრ-ს გადაეცა ყოფილი ზაქათლის ოლქი (ახლანდელი კახის, ზაქათალის და ბელაქანის რაიონები 3.99389 კვკმ ფართობით, სადაც დიბურა 20-მდე ქალესია და წაღებულ იქნა დემონტაჟის რამდენი კარი!
დღეს ამ მხარეში ყველამ იცის, რომ ჩვენ, ქართველებს, გზა თითქმის გადაკეცილი გვაქვს.
რატომ ვართ გულგრილნი? ნუთუ საქართველოში ჩვენი ინტერესების დამცველი არც ერთი აზერბაიჯანელი არ ცხოვრობს? თორემ როგორ დაიფუძრო, მაგალითად, რომ ეს ჟურნალი არ აქვს მიღებული და წაკითხული ჩემს მწერალ კოლეგას, საქართველოს მწ-

ეს ძალიან მიმიყვარა.
- რას ნიშნავს მინუს 500 მილიონის გარდევა?
- ეს ნიშნავს გაიჭნა 200 მილიონის და შემოიჭნა 700-ის. ეს არის საქართველოდან გასული ფული. ვთქვათ, საპირს არ აწარმოებ საქართველოში და ყიდულობ. ძვირფას ფრანგულ და იტალიურ ნაწარმს ვერ გავყიდვით იქ იაფფასიანს და ვადიხარ იაფფასიანს აღმოსავლურ ბაზარზე, ვთქვათ, ირანზე. შენ იქ დებ ფულს და ასაქმებ ირანელ მუშას, იქ ქმნი სამუშაო ადგილს და არა აქ, როგორც დანაშაურობი იყო. მოვიდა არჩევნების დრო, სადაა ძველი დაპირება?
- მეორე, ნათობსაღვინის გაყვანის და ამუშაების იმედზე იყო ეს დაპირება ნათქვამი.
- საფრანგეთში სოციალისტებმა რომ გაიმარჯვეს, 55 მილიონ ფრანკს მხოლოდ 700000 სამუშაო ადგილს დაპირდნენ. ისიც თქვეს, ეცდებოდათ. საქართველოს მოსახლეობას უკეთეს შემთხვევაში 60000 სამუშაო ადგილი შეიძლება დაპირდეს.
- საიდან იქნება სამუშაო ადგილები, როდესაც მრეწველობის მხოლოდ მეორე ნაწილი მუშაობს?
- კონცენტრირებულად ქვეყნის ეკონომიკას გამოხატავს ისეთი ცნება, როგორცაა შიდა ეროვნული პროდუქტი. ე.ი. რა იწარმოება, რა მომსახურება გაკეთდა რა იჭარბა აქ ყველაფერი შედის, რაც შეიქმნა ავილით უკვე დამთავრებული 1996 წელი თუ ოცი-ცოცხლო ცნობებს დაუფუძერებთ, 4,5 მილიარდი ლარის შიდა ეროვნული პროდუქტი შეიქმნაო. აქედან, როგორც წესი, 25-30% უნდა იყოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლების ნაწილი ჩვენთან კი მხოლოდ 15%-ია რატომ? თუ მართლა შეიქმნა საქართველოში 4,5 მილიარდის, მაშინ მისი მესამედი ან მეთხუთხედი უნდა დაეთავალოთ. ეს არის დაახლოებით 1 მილიარდი 500000. შარშან ბიუჯეტის შემოსავლებში იყო 600000. სადაა დანარჩენი? ბალეტის ქვეყნებში შიდა ეროვნული პროდუქტიდან სადაც 30-32% ტრიალებს, ასევეა უკრაინაში, რუსეთში უფრო ნაკლებია - 25%. ყველაზე ცოტა არის ტაჯიკეთში 17%, ჩვენთან კი 15%-ია, რატომ? ესე იგი კატასტროფულად არ ამოიღება ბიუჯეტში შემოსავლები.
- ამ საკითხზე ყველა ლაპარაკობს.
- მე კონკრეტულად ესეამ საკითხს, სადა არის მინიმუმ 500 მილიონი? თუ არ იცი, სადაა, მაშინ აღიარებ, რომ ჯიბგარების სახელმწიფო გაქვს. არ იხდინა დღეს, არ იხდინა აქცეზს, არ იხდინა საბაჟო გადასახადი. აქედან გამოდინარე, საბიუჯეტო სამსახურების მუშაკებს არ ეძლევათ წესიერი ხელფასი, ვერ გაიცივია პენსიები. ეკითხებით, მაშინ რად გინდა და რას აკეთებთ ამხელა მაკონტროლებელი ორგანოები: საბაჟო, საგადასახადო, კონტროლის პალატა? ასე საგადასახადო საქმე თუ ეს არ გახოსწორდა, არავითარი ეკონომიკურ სტაბილურობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ისაა უკანა მანანა იაშვილი

გაგრძელება მე-10 გვ.

მართლმადიდებელი ქართველი

ანუ ბრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე

ახალი კერძი

ბრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე საუბარი ერთდროულად ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმდენად, რამდენადაც თავის თხზულებათა უმრავლესობას თავად ანალიზებს. ძნელია იმდენად, რამდენადაც ყოფიერების მეტაფიზიკურულ აზრს ეძებს. ამის მისაგნებლად კი ადამიანმა მითოსის ჯურღმულებში უნდა იხედალოს. გრიგოლ რობაქიძეც ასე აკეთებს. ქართულ მითოსსა და ქართულ ენაში სურს იპოვნოს ქართველთა მსოფლხატის თაურარსი.

„ვამბო - „მითიური“ ჩვენში „მითოსი“, „თეორია“ კი არაა, არამედ „დედიშობილა“, არა „ჩატვრა“, არამედ „განცდა“. „მითიური რეალიზმი“ - აი ფორმულა, მხვედრი ჩემი შემოქმედებისა“ („გულნადები“). სხვაგანაც იმეორებს ამ აზრს. „სიმბოლო“, „მითოსი“, „მარადი მყოფადი“ - მარტო სახელწოდება ბორატორიაში კი არ მუშავდებოდა ჩემსაში. ისინი „დედიშობილა“ ჩემი. „ცეცხლი“, რომლითაც ვცოცხლობ“ („სათავენი ჩემი შემოქმედებისა“).

„პატარა ერი, რომელშიაც ცოცხლობს ტომურად, ერთსხეულად საერთო სული: აღმოსავლური საშო, სადაც მიწა „დედა“ წმინდა, ისტორია უძველესი, რომელიც თავის ათასწლეულებიან სიგრძეზე აგროვებს ქმედით ცოცხალ ხსოვნას (ანამეხვისს). აქაა საქართველოს არსი. ეს ცხადდება: ქართულ ხასიათში, ქართულ სიტყვაში, ქართულ სილაღეში, ქართულ ერქვანში, ქართულ ხმალში, ქართულ სიმღერაში (რომელიც ღმერთკაცებისაა)... და აი ამ „დედის“, ამ „მიწის“ ტრაგიული ხილვა ძნელია...“ (მარათი აკაკი პაპავას).

„მითიური რეალიზმი არის უთუოდ მეტი და უფრო აზროვანი, ვიდრე ისტორიული“ („კავკასიური ნოველების“ წინათქმა).

„ენა აზროვნობს: აზროვნობს ბევრად უფრო ღრმად, ვიდრე ცალკეული პიროვნება“ („მიმართვა ქართველ ხალხს“). თაურარსის ძიებას კვალსა და შედეგებს ყველგან ნახავთ მის რომანებშიც, ესეებშიც, კერძო ბარათებშიც კი. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ეშინია - მკითხველს გაუჭირდება მისი შემოქმედების გაგება და ეხმარება.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №109-117



„ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს“ („სათავენი ჩემი შემოქმედებისა“).

მართალია, მითოსისა და ენის საშუალებით მიგნებული მისი დასკვნები გაბნეულია მის თხზულებებში, მაგრამ თავმოყრილი სახითაც არსებობს, უმეტესწილად ნარკვევებში - „საქართველოს სათავენი“ (ამ ესეის გერმანულ ვარიანტს ეწოდება „Vom Weltbild der Georgier“), „უცნობი საქართველო“, „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ და „კავკასია - სილუეტები“ (წერილების ციკლია, რომელსაც იგი ბუჯდავდა „რიუსსელერ ცაიტუნგში“ 1942 წლის 5 აგვისტოდან).

ქართული მსოფლხატის შუაგულში გრიგოლ რობაქიძე აყენებს კარდუს. ქართულ წარმართულ პანთეონში კერძს ამ სახელწოდებით ვერ შეხვდებით. იგი გრიგოლ რობაქიძის გამოგონილია. თავად გვიყვება, როგორ შექმნა ცნება და კერძი კარდუ. აულია ქართველთა ეთნარქის სახელი ქართლოს. მოუცილებია ბერძნული დაბოლოება - ოს. მიუღია ქართუ. მაგრამ მისი უღერადობა მეტად რბილად მოსჩვენებია. მერე კარდუ გაუკეთებია. ეს კი ხერხემალმაგარი გამოსულა. ამიტომ, წერისა და საუბრის დროს, ხან ამ ხერხემალმაგარ კარდუს იყენებს და ხან უფრო ზომიერ კარდუს.

„ხო, ქართუ არის ჩვენი მის-

ტიკური თაურმდგენი (ასე თარგმნის თვითონ გერმანულ Urheber-ს - აბ.) და დგას ის მზის ნიშანში. იგი არის პიროვნება (პერსონა) და ამასთანავე არ არის პიროვნება“ („გრაადის მცველნი“).

გრიგოლ რობაქიძისთვის კარდუს სასარგებლოდ მეტყველებდა იმუამად საისტორიო მეცნიერებაში გავრცელებული აზრიც.

„ისტორიკოსები ამბობენ - უძველესი სამშობლო ქართველებისა იყო ქაღდუ... სვანთა ტომობრივ შეგნებაში დღესაც ცოცხლობს უძველესი სიტყვა - „ქაღდუ“. მდინარე ენგურის ხევის ერთს გვერდზე მდებარე ფერდობზეა კლდოვანი უბე, პატარა სოფელი, რომელიც ამ სახელს ატარებს“ („კავკასიური ნოველების“ წინათქმა. კარდო ინსარაძის თარგმანი).

მარტო სახელის დადგენა არ კმაროდა. კარდუს შინასახეც უნდა გამოეძეკრა. ამაში გრიგოლ რობაქიძეს გოეთეს თაურფენომენის იდეა დაეხმარა (გერმანულ თავსართს Ur-ს გრობაქიძე თარგმნის „თაურ“- „პირველ“-: die Urschau - თაურხილვა ან პირველხილვა; die Urtat - თაურქმედება ან პირველქმედება). თავად ამბობდა - „გოეთეს მოძღვრება თაურფენომენის შესახებ ჩემთვის საგანთა შემეცნების საფუძვლად იქცა („ჩემი ცხოვრება“). თაურფენომენის არსი კი ასე

ესმოდა:

„კონკრეტული წარმოდგენისათვის მითოსისა მე ყოველთვის ვიგონებ ხოლმე გოეტეს სწავლას „ურფენომენ“-ზე (თაურ-მოვლენაზე), რომელიც უკენიალესი ცნაურებაა დასავლეთის კულტურაში გონისა („გონი“: Geist, Esprit, Dux). ორი სიტყვით იგი, მცენარე, ცხადდება განამდვილებით რომელიმე ხტილში თავისი ვითარებისა: ან მორჩობისას ან ცენებისას ან ყლორტობისას თუ ფოთლობისას. ასე ვთქვათ „წილობით“ და არა „მთლად“. გოეტზე იკვლევს მცენარეს ორმაგი ჭერტით: წინისკე - მორჩითგან ყლორტამდე თუ ფოთლამდე უკანისკე - ყლორტითგან თუ ფოთლითგან მორჩამდე. ამჩნევს: ამ ვითარების ხაზზე მცენარის ყოველი ნაწილაკისაგან შესაძლოა წარმოიშვას მთელი მცენარე. აკვირდება ამ მოვლენას. თუ ეს ასეა, მაშასადამე, მცენარე მთელი ყოველ ხტილში მისი ვითარებისა ვირტუალურ იმყოფებოდეს. ჰგონებს ასე. და აი 1776 წელს ხედავს ვაიმარელი მესაიდუმლოე სიცილიაში წარმოსახვით „თაურ-მცენარეს“ მცენარეში. ესე იგი: ხილავს მყოფად მცენარეს ანუ შინა-სახეს მცენარისა. „თაურ-მცენარე“ იღებს სახელს „ურფენომენი“. „შინა-სახე“ იგივე „იდეა“ პლატონისა არსებობდა სხვაობა ნაირული: პლატონის „სახე“ ყუდრობს ვითარ თესლი „მარადში“. გოეტეს „სახე“ ვლინდება „მოვლენაში“ ვითარ ცენება თესლისა. დასკვნა: „თაურმცენარე“ მცენარისთვის მითოსია - ვითარ არასოდეს ხილული მყოფადი, ხოლო ყოველთვის გულგებული“ („ვაჟას ენგადი“).

გრიგოლ რობაქიძე პირდაპირ კავშირს ხედავს გოეთეს იდეასა და ძველი რომაელი ისტორიკოსის ვაიუს კრისპუს სალუსტიუსის ფორმულას შორის - „ეს არასოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის. იგულისხმება: არ ყოფილა - ისტორიულად, არის - ზეისტორიულად“ („ვაჟას ენგადი“). ამასვე იმეორებს სიტყვასიტყვით „Vom Weltbild der Georgier“-შიც: „Es hat sich nie ereignet, es ist aber immer.“ „Es hat sich nie ereignet“ bedeutet: es war nicht ein historisches Geschehen. „Es ist aber immer“ meint: es geschieht immerdar metahistorisch“. ამავე აზრს კითხულობს გრიგოლ რობაქიძე ქართული ზღაპრების დასაწყისშიაც: იყო და არა იყო რა...

სალუსტიუსის ფორმულა იმიტაც იზიდავდა გრიგოლ რობაქიძეს, რომ „აქ წარსული და მომავალი ერთიდაიგივეა“ („სათავენი ჩემი შემოქმედებისა“). მითმა არ იცის წარსული და მომავალი. იგი აბსოლუტური აწმყოა. თუ ასეა, მაშინ, ბუნებრივია, ის, რომ რაც მითიურში არსებობს, არსებობს დღესაც. რა არსებობდა მითურად, რომელიც დღესაც შეიძლება არსებობდეს? ამის ამოსაცნობად ქართულ ენას მიმართავს. თუ ქართული ენა

ქართველი ხალხის შინასახის ამოცნობაში დაეხმარება, მაშინ კარდუს შინასახეც გამოვლენილი იქნება, რამეთუ „ქართული ენის ავტორი კარდუ არის, ქართველთა მითიური „თაურ-მდგენი“ - არა ცალკეული, რომელიმე ქართველი“ („გულნადები“).

ქართულ სიტყვას, გრიგოლ რობაქიძის ფიქრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დავიწყეთ სიცოცხლით, ცეცხლით, ცხენით და ცოცხლით. ამ სიტყვებს ერთი ფუძე აქვთ. ამდენად ისინი ერთი დაფარული აზრის მატარებელი არიან. ცეცხლი და ცხენი კარგად ცნობილი სიმბოლოებია. ორივე მზესთან არის დაკავშირებული.

ცეცხლი გამოხატავს მზის ცხოველმყოფელ, გამანაყოფიერებელ, გამწმენდ ძალას. სიცოცხლის განახლებას, ენერჯიას, ძლიერებას. ცხენიც ამბივალენტური სიმბოლოა. მზის ძალასაც ავლენს და მთვარისასაც. თეთრ ან ოქროსფერ ცხენებზემდელი საომარი ეტლით დაქრის მზის ღმერთი. შავი რაშით მოგზაურობს ოკეანის ღმერთი, ზღვისა და ქაოსის მბრძანებელი, ცხენი ისევეა სიცოცხლის სიმბოლო, როგორც სიკვდილის. ამდენად სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულ ენაში სიცოცხლეს, ცეცხლს, ცხენს ერთიდაიგივე ფუძე აქვს. მაგრამ როგორ უკავშირდება მათ ცოცხი? აქ გრიგოლ რობაქიძე ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ცოცხით ჰგვიან, ხვეტენ, ანუ წმენდენ. ცოცხიც გამწმენდი საშუალებაა. როგორც გამწმენდს, მას უშუალო კავშირი აქვს ცეცხლთან. ცეცხლიც ხომ გაწმენდაა, გასუფთავება. საღბინებელს, განსაწმენდელს გერმანულად das Fegefeuer ეწოდება. თუ ამ სიტყვის ბოლო ნაწილი - feuer - ცეცხლია, მისი პირველი ნაწილი ზმნა fege-იდან მომდინარეობს, რაც დახვეტას, გაწმენდას ნიშნავს. აქ გერმანული და ქართული ერთმანეთს ხვდება. სხვა შემთხვევასაც აღნიშნავს გრიგოლ რობაქიძე ქართულისა და გერმანულის შეხვედრის „გრაადის მცველნი“ ლეკვან ორბელი შვედ ქალს ნორინას უხსნის - ქართული „ხე“ გერმანულად Baum-ს ნიშნავს, მაგრამ ზოგიერთი მცენარის გერმანულ სახელში ქართული „ხე“ ისმისო. მაგალითად, მუხის გერმანული სახელია Eiche (აი - ხე), წიფლისა - Buche (ბუ - ხე). ეს მას არ აკვირვებს, რადგან მუხა წმინდა ხეა, მზის სადგომი. მზის მცენარეული პიპოსტასია მუხა. რადგან ყველა ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენაში ასეა, ქართულისა და გერმანულის ამგვარი დამთხვევა მოულოდნელი არ ჩანსო.

რაც ითქვა, თავისთავად საინტერესოა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძისთვის არსებითი სხვა რამ არის: სიცოცხლის კავშირი სიწმინდესთან. სიწმინდეა

გაგრძელება გვ-6 გვ

მართლმადიდებელი კაპრდუ

ანუ ბრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი აკაკი ბაქრაძე

მეხუთე გვერდიდან
სიცოცხლის უპირველესი ნიშანი. სიცოცხლე მაშინ არის სიცოცხლე, როცა იგი წმინდაა („rein“ und „heilig“ identisch sind. Kurz das Leben ist feurig und zugleich heil.“ „გრაალის მცველი“). მაგრამ ქართველი ამით არ კმაყოფილდება. სიცოცხლე წმინდა უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს მტკიცეც. ამასაც ქართული ენა გვეუბნება. ქართველი დიასახლისი ამბობს, - წერს გრიგოლ რობაქიძე - „შვილო, ფქვილი გამტკიცე“, ანუ ფქვილი გაწმინდესიმტკიცე და გაწმინდა ურთიერთკავშირში ყოფილა. „რაც განწმინდილია, „მაგარია“ და რაც მაგარია „განწმინდილი“ (კალე სალიას ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან).

მითიური კუთხით, ცეცხლი, სიცოცხლე, სიწმინდე, სიმტკიცე უერთმანეთოდ არ არსებობს. ისინი ერთმანეთზე გადაჯაჭვული. რაკი ცეცხლი უთუოდ და უთუმცაოდ გულისხმობს წვას, მაშინ სიტყვა „მღვდელიც“ მის გვერდით უნდა განვიხილოთ. მიხეილ წერეთლის გამოკვლევით (რასაც გრიგოლ რობაქიძეც იზიარებს) ძველქართულად „წვას“ ერქვა „ღუდვა“. „მღვდელიც“ აქედან მომდინარეობს. მღვდელმსახურება წვის პროცესს ითვალისწინებს, გნებავთ წარმართული თვალსაზრისით შეხედეთ მას და გნებავთ - ქრისტიანული.

„მღვდელი ანუ მწველი. იგულისხმება წვა არა მარტო გარეგანი წვა შესაწირავი ცხოველისა, არამედ შინაგანიც: მარჯს, გერმანული შესატყვისი „ჰაილ“ (Heil), რაცა ხელდასმით გადადიოდა სხვაზე“ („საკრალური წყობა“).

უფრო მეტი: სულხან-საბას განმარტებით, „ღმერთი გადმოითარგმნების ხედვა და წვა“. ეს საშუალებას აძლევს გრიგოლ რობაქიძეს თქვას:

„დიდი ბრძენის პლოტინის მსოფლხილვაში გვხვდება „თვალის მზიური“. გოეტქემ მზიურიობა თვალისა ერთ თავის შაირში შესანიშნავ ხტილად გამოკვეთა: „თუ არ იყოს თვალი მზიური, ვით შეეძლოს მის ხილვა მზისა?“. მტკვნის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალის ჩასულა ვენახში“. თვალთ აქ ნაგულისხმევია მზე, პლოტინი, გოეტქე, ქართველი მევენახესამივე, დიდ საიდუმლოს აცნაურებენ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: პლოტინისათვის და გოეტქესათვის თვალის „მზი-

ურია“, ქართველი მევენახისათვის კი იგი მზეა თვითონ. ხატული „სახეობის“ მხრით ქართველი მევენახის თქმას თვითონ გოეტქეც არ უნებდა პირველობას. თვალის მზეა, ფიქრობს ქართველი, რადგან იცის, რომ „მზე“ და „მზერა“ სადღაც ეთანხმებიან ერთიმეორეს. გავისხენთ საბა სულხან ორბელიანის განმარტება სიტყვისა „ღმერთი“: „წვა და ხედვა“. ეს განმარტება მზეზეა თითქო გამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, იწვის და „მზერს“, ანათებს. „თვალის ჩასულა მტკვენში“ - ეს ნამდვილი პოემაა... („მზის ხანა ქართველთა“).

ქართველისათვის მზე და ღმერთი რომ ერთი და იგივეა, აშკარად ჩანს მაშინ, როცა იგი, იმის მაგიერ რომ თქვას, - შენმა ღმერთმა ან ჩემმა ღმერთმა - ამბობს - შენმა მზემ ან ჩემმა მზემ. რა თქმა უნდა, ეს თქმა წარმართობიდან მომდინარეობს, მაგრამ ქრისტიანულ ეპოქაშიც მტკიცედ ზის ქართველის ცნობიერებაში და ხილულ მზესა და უხილავ ღმერთს ათანაბრებს.

მტკვენს თვალის, ანუ მზე, ანუ ღმერთი ამწიფებს, ზრდასრულს ხდის. მაგრამ სიმწიფე მარტო ნაყოფს არ სჭირდება. სიმწიფე აუცილებელია ქვეყნისა და ხალხის მართლმადიდებლისათვისაც. ამიტომ Kaiser-ს ქართულად ხელმწიფე შეესატყვისება. ხელმწიფე, მაშასადამე, სრულყოფილი, სხვაგვარად იგი ქვეყნის პატრონად ვერ გამოდგება. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ხელმწიფე მდიდარი უნდა იყოს, ჩუქება რომ შეეძლოს, ძლიერი უნდა იყოს, დაცვა რომ შეეძლოს, ნიჭიერი უნდა იყოს, დალოცვა რომ შეეძლოს („გრაალის მცველი“).

ქართველისათვის ხელისუფლება საკრალურია. ხელმწიფე არა მარტო სიმწიფეს უკავშირდება, არამედ უფალსაც, ღმერთსაც: ხელისუფალი, ხელისუფლება, ძალაუფლება. ამ სიტყვებში ყველგან უფალი ანუ ღმერთი ისმის. აქ ბატონი კი არ არის ნაგულისხმევი, არამედ სწორედ უზენაესი.

„უფლება“ ქართულში „ბატონისაგან“ კი არ მოდის, არამედ უფლისაგან.“

„რას ნიშნავს „მწიფე ხილი“, თუ არა სიძლიერესა და მარჯს? მიხეილ წერეთლის აზრით, „მწიფე“ ნიშნავს „მიწვდომასაც“. მაშასადამე, „მწიფე ხელით“ ნაგულისხმევი „მწვდომელიც“ ესე იგი, ის, ვინც წვდება მას, რაც სხვისთვის მიუწვდომელია“ („საკრალური წყობა“).

ხელმწიფე მმართველს, მმართველობს. მმართველი კი გრიგოლ რობაქიძეს ესმის, როგორც „დგინება მართლისა“ („დავით აღმაშენებელი“). ხელმწიფე იგი შეიძლება იყოს, ვინც მართალია, ვისაც სიმართლის დადგენა ძალუძს.

მართალი, წმინდა, უფალი არა მარტო საკრალურ წარმოდგენას ჰქმნის ხელისუფლებაზე, არამედ უშუალოდ უკავშირდება მეფე-მღვდლის (Priester-Konig) კონცეფციას. ეს კონცეფცია გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ევროპაში. მეფე-მღვდელი ერთ კაცში განასახიერებდა ქვეყნის სასულიერო და საერო მმართველს. მის ნიშნად კონკრეტულ პირსაც, ვინმე იოანე პრესვიტერსაც ასახელებდნენ. ზურაბ ავალიშვილი ვარაუდობდა, რომ იოანე პრესვიტერში ევროპელი მემატიანენი დავით აღმაშენებელს გულისხმობდნენ. გრიგოლ რობაქიძე ეთანხმებოდა ამას. „დასავლეთში (ინგლისის ერთს ქრონიკაში) ჩვენი უდიდესი ხელმწიფე მიხინის ლეგენდარულ იოანედ“ („უცნობი საქართველო“). რასაც ზურაბ ავალიშვილი წერდა, იმას უცვლელად იმეორებდა „გრაალის მცველში“. ლეგენდარული დაწვრილებით ყველა ევროპელი ბერის ანსელუსის თავადასავალს და ქართველი მეფის ქერივის მიერ ნაჩუქარი ჯვრის პარიზში ჩატანის ამბავს. ეს ჯვარი უწმინდესი რელიქვია იყო. იგი გააკეთეს იმ ხისაგან, რომელზეც ევროპა მაცხოვარი. ჯვარი პატარა სამლოცველოში დასვენეს. მოგვიანებით კი ამ სამლოცველოს ადგილას საყოველთაოდ ცნობილი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ააგეს. ამ ტაძარში განისვენებდა ქართველი ქერივი დედოფლის ნაჩუქარი ჯვარი მანამ, სანამ, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, არ დაიკარგა. მერე კი იგი ვენარსად იპოვნეს.

გრიგოლ რობაქიძეს სჯეროდა, რომ ხელისუფლება საკრალური მოვლენა იყო. ამდენად, ვიგინდარების ყოფნა ხელისუფლებაში დაუშვებლად მიიჩნდა. თუ ქართველი დაყაბულდებოდა ვიგინდარების ხელისუფლებაში არსებობას, იგი უპირველესად თავისთავს უღალატებდა.

გრიგოლ რობაქიძე არ იზიარებდა შეხედულებას, რომლის თანახმად ქართველი ყოფიერებას ზერედედ და ლახდანიდარულად უყურებს. ქართველისათვის, ამტკიცებდა იგი, ყოფიერება ღმერთსა, ზე-

იმია, ობაა.

„სიცოცხლე ხალისია, ხოლო წინააღმდეგობებით სავსე“ („ლამარა“. მოკლე ბიოგრაფია). საქართველო ვნებულ დიონისედ მიიჩნდა. ამის თქმის უფლებას ორი რამ აძლევდა.

პირველი ის, რომ ქართველი ცხოვრობს ფორმულით - გაახარე - გაიხარე“.

„ერთი სიტყვით რომ მოვხაზოთ ქართველთა ყოფა, ეს იქნება: „გაახარე - გაიხარე“... თვით „ზრდაც“, ქართული შეგნებით, სიხარულია. ვამბობთ ხომ ხშირად ქართველნი: „მცენარე ხარობს“ - მაგიერ მცენარე იზრდება“ (წერილი ირაკლი აბაშიძეს).

„ქართველს სწორედ ეს ახარებს, რომ არის, არის საერთოდ. ეს სიხარული ჩვენში ისეა გამჯდარი, რომ ჩვენ ხშირად ყვავილზე თუ საერთოდ მცენარეზე მაგიერ იმისა: „იზრდება“, ვამბობთ: ხარობს...“ („ქართული გენია, როგორც განუფენილი“).

მეორეც ის, რომ ქართველისათვის არსებობა ფერადობაა, ლამაზია. ეს მკაფიოდ მოჩანს სიტყვებში ყველაფერი (alles), არაფერი (nichts), რაფერ გააკეთე (wie hast du es gemacht). ყველგან ფერია, სილამაზა. ეს ფერადობა ანიჭებს ყოველსაგანს სახიერებას. სახიერება გამოკვეთილობას, გამორჩეულობას ნიშნავს. ღმერთსაც ასე მიმართავს ქართველი - ო, სახიერო. Unter dem Antlitz versteht der Georgier das Stahlbild des Wesens (სახეს ქართველი იგებს, როგორც არსების სხივოსან სურათს).

თუ ყოფიერება ქართველისათვის მზიურია, სხივოსილია, მაშინ რაა იმისი საფუძველი, რომ ქართველი ყოველთვის დამარცხებულია, გათვლილია, დამცირებულია? ეს საფუძველი, გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, პრომეთეული თავნებობაა.

„ქართველის საფრზე პრომეთეული თავნებობაა. ხაზს ვუსვამ ხელმეორედ: „საფრზე“ და არა „თვისება“. ქართველი ხდება „თავნება“, როცა იგი ვერ პოულობს სხვაში გამოხმაურს: ასხივოსნებას. იგი ხდება ურჩი და უდრეკი („რა უნდა აგონდებოდეს ქართველს“).

„საქართველოს ისტორიის პირველყოფილ ცოდოს სწორედ ეს ქედფიცხელობა“ და „გონება ურჩობა“ შეადგენს“ („თამარ“).

პრომეთე დასჯილია თავნებობისთვის. საქართველოც ისჯება თავნებობისათვის. ზევსმა დასჯილად პრომეთეს არწივი მოუვლინა. იგი ღვიძლს უკორტნის ტიტანს. ღვიძლშიც საიდუმლო აზრია. ღვიძლი, ანუ სიფხიზლე ღვიძლისაგან წარმოსდგება. ყოველი თავნება არსი, მათ შორის, პრომეთეც, მუდამ მღვიძარე, ფხიზელი უნდა იყოს, რომ გაუმკლავდეს ტკივილს. არ დაივიწყოს თავნებობის დანაშაულებრივი არსი. ქართველსაც სჭირდება სიფხიზლე, მუდმივი ღვიძლი, რომ თავნებობამ უფსკრულში

არ გადაუძახოს წრე მსხვერპლს მას. **თავნებობა**

გრიგოლ რობაქიძე არ ხედავდა დაპირისპირებას ქართულ წარმართობასა და ქართულ ქრისტიანობას შორის. ჩვენში ქრისტიანობა წარმართობის უშუალო გაგრძელებაცა ვიგნობად მიიჩნდა. ერთი მხრივ, ამას უდასტურებდა წმიდა ნინოს ჯვარი და, მეორე მხრივ, თეთრი გიორგის კულტის ვახსივანი გამოჭრილ და ქალის თმით შეკრულ ჯვარს აღიქვამდა წარმართობისა და ქრისტიანობის კავშირად. თეთრი გიორგის დღესასწაული კი დიონისური ზემის ნაირსახეობად ესახებოდა.

თუ ყველაფერს ზემორე თქმულს თავს მოუყურდით, კარდუს შინასახესაც დაეინახავდით და ქართველთა მსოფლხატსაც გააცნობიერებდით.

ქართველისათვის არსებობა-ყოფიერება ღმერთსა, ზემიამ, ხალისია. მისი დევიზია: გაახარე - გაიხარე. მისთვის მზე და ღმერთი ერთი და იგივეა. მზე კი სიცოცხლის, ბედნიერების, სიხარულის წყაროა. ყოფიერება გასხივოსნებულია და განათებული. მზეც და სიცოცხლაც მუდმივი წვაა, ოღონდ უფერფლო. ხალხის სულიერი მეთაურიც (მღვდელი) და საერო ხელმძღვანელიც (ხელმწიფე) მარად უნდა იწვოდეს, რომ თავდაც განიწმინდოს და ხალხიც განიწმინდოს. ხელმწიფობა სიმართლეს უნდა ეფუძნებოდეს. სხვაგვარად ვერც მმართველი იქნება მართალი და ვერც ხალხი. მართალი, წმიდა, ხალისიანი ხალხი თავნებობას არ უნდა ემორჩილებოდეს, თუ არ სურს დასჯილი იყოს. ამისათვის კი აუცილებელია მართლმადიდებელი სიფხიზლე, ღვიძლი, მუდმივი წვა და ქმედება. ყოველი ადამიანის ამოცანაა - Überwindung des Unmöglichen (შეუძლებელის დაძლევა).

გრიგოლ რობაქიძე ბავშვივით, გულწრფელად იკვებინდა „საუკუნეთა მანძილზე ერთადერთი ავტორი მე ვარ, რომელიც აცნაურებს ქართველთა „მსოფლხატს“ (წერილი გიორგი გამყრელიძეს). ეს კვებინა თავმოწონებად არ მიიჩნდა. „ყაღბი თავმდაბლობა სრულიად უცხოა ჩემთვის“ (წერილი ირაკლი აბაშიძეს).

მაგრამ რასაც გრიგოლ რობაქიძე ამბობდა, ეს იყო მითიური საქართველოს თაურარსი და არა ისტორიულის. რაკი მიიჩნდა, რომ მიიჩნდა, რომ მითიური უფრო ნამდვილია, ვიდრე ისტორიული, მის მხატვრულ ცნობიერებაში არსებობდა გამოგონილი საქართველო, როგორც გამოგონილი კერპი კარდუ. გამომჟღავნდებოდა, გამოვლინდებოდა თუ არა მითიური საქართველო ისტორიულში? ეს არაფერს უწყობდა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს ამის დიდი სურვილი და წყურვილი ჰქონდა.

ბაბრძელები იმნება

სტალინი თავიდანვე ლენინის ნატივი იყო: მასშიც გაერთიანებული იყო რაციონალი და ინსტიქტი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეორე ელემენტი უფრო მძლავრად ჰქონდა განვითარებული. ეს სტალინის ლენინთან შედარებით უპირატესობასაც კი ანიჭებდა. ცხოველური ინსტიქტით სტალინი მუდამ გრძობდა, რომ ნახევარბედი ვერ გაუძღვებოდა რევოლუციას. ის მუდამ აღმაცვრად უყურებდა ტროცკის: არ სჯეროდა მისი. ამ დროს შური კი არ ამოძრავებდა, არამედ ნაღდი რევოლუციონერის ყოსუა: ისეთი ელემენტის სუნი იკრა, რომელიც რევოლუციის წიაღიდან არ იყო ნაშობი. ყველაზე უკეთ ცარიცინის ამბებში გამოამყვანა თავი. ტროცკის სურდა წითელი არმიაში მეფის ყოფილი ოფიცრები გამოეყენებინა, სტალინს კი უბრალოდ სძაგდა ინტელიგენტები. აქ ორი ადამიანი შეეჯახა ერთმანეთს: ერთი მოდიოდა რევოლუციიდან, მეორე რევოლუციისკენ. ლენინი ორივეს საჭიროებას გრძობდა და დიდი ოსტატობით შეაერთა საპირისპირო დინებები. მან სტალინის მეშვეობით ბონაპარტიზმის საშიშროებაზე მიუთითა ტროცკის, ხოლო ტროცკის მეშვეობით ეიწრო სწორხაზოვნებისაგან გაათავისუფლა სტალინი. ეს იყო ორი განსხვავებული სტიქიის ბრძოლა, ამათხლო ერთი საჩინო იყო, ხოლო მეორე - უჩინარი.

ტროცკი ლენინის გვერდით იზრდებოდა. ლენინის გვერდით ეს სენეკალური სეგბენიერი ხდებოდა. ულენინოდ კი კარგავდა იმას, რასაც იღობლიან გამბედაობას უწოდებენ. ტროცკი არ იყო ლაჩარი: სამოქალაქო ომში დემონური სიმამაცე გამოაქვინა. გენერალ იუდენიჩისაგან პეტროგრადის გადაარჩენა მისი დამსახურება იყო. ეს სიმამაცე მით უფრო ფასობდა, რომ ლენინი თავდაპირველად მზადდა კი იყო, პეტროგრადი მტრებისთვის დაეთმო. მას იმ დროს სხვა უფრო დიდი საფრთხე ემუქრებოდა. ლენინს ინტუიცია მიხლავდა მასზე უჭირდა, როცა თვითონ იჭრებოდა მოვლენებში - ფრონტები მან ტროცკის გადაულოცა. ტროცკიმ დაარწმუნა იგი პეტროგრადის შენარჩუნების საჭიროებაში და უკიდურესი, ზედამიანი გამბედაობით დაიცვა ქალაქი. და მანაც: ამ გამბედაობის უკან ურყევე კლდესაგან იდგა თვითონ ბედი - ლენინი. საკმარისი იყო, ლენინის სისხლი ჩაქცვოდა, რომ ტროცკის მყისვე დაეკარგა სიმამაცე.

რევოლუციის საბედისწერო გარდატეხის უამი მოვიდა. ერთ პატარა შემთხვევას შეეწირა ტროცკი - მაინცდამაინც საქართველოს საკითხს. ქართველი კომუნისტების ერთი ნაწილი მდივანის ხელმძღვანელობით საქართველოსთვის მეტ ეროვნულ თავისუფლებას ითხოვდა. ამ მოთხოვნის წინააღმდეგ ყველაზე მკვეთრად სტალინი გამოვიდა: მამის მოძულე მამულის მიმართაც მტრულად უნდა ყოფილიყო განწყობილი. ლენინმა შეატყუა, რომ საქართველო უადრესად თავისებური ქვეყანა იყო, და მდივანის ჯგუფს მხარი დაუჭირა, თუმცა წმინდა კომუნისტური თვალსაზრისით იქნებ სტალინის ცენტრალისტური ხაზი უფრო იყო გამართლებული... შესაძლოა, სხვა რამეშიც იყო საქმე. სისხლის ჩაქცევის შემდეგ ლენინს, რომელსაც უკვე ჩაუსუნთქა სიკვდილის ჰაერი, ინსტიქტი გაუმძაფრდა. მოცველილი მარტორქა ახლა უკვე ხედავდა თავისი პატარა დაბინდული თეატლებით, რომ უჩუმარი და უჩინარი კატა, სტალინი, ეფხეში გადაიხარდა. საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ აქამდე ეს ვერ შეამჩნია. სცადა წელში გამართულიყო და ღონიერი შემახილთ კვლავ კატის სხეულში გამოემწყვდია ხახადლებული ეფხეები, მაგრამ გვიანდა იყო. ეს ალბათ ლენინის ყველაზე მწარე გაწყ...

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №116-117

ბრიგოლ რობაქიძე

სტალინის პორტრეტი



სრუხროვი და სტალინი, 1936 წ.

ბილგება იყო... საქართველოს საკითხში ტროცკი ლენინს მიემხრო - თავისთავად გასაგებია: საქართველოს სიყვარულით არა. აუადმყოფმა ლენინმა მოამზადა მოხსენება, რომელიც მეორემეტე პარტიკონფერენციაზე ყუმბარასავით უნდა გამსკდარიყო სტალინის წინააღმდეგ, მაგრამ, რადგან სისხლის ჩაქცევის განმეორებას შიშობდა, მთელი მასალა ტროცკის მიანდო, ხოლო მდივანისათვის მიწერილი ბარათის ერთი ასლი კამენევს გაუგზავნა. ეს საკმარისი იყო, რათა სტალინის ყველაფერი შეეტყო. იგი მოეშადა. ჯერ სცადა ლენინისთვის გადაეთქმეინებინა, მაგრამ კრუჰსკია შეეწინააღმდეგა და გზაზე გადაეღობა. აქ სტალინს დიდი შეურაცხყოფა უნდა მიეყენებინა ბელადის ცოლისთვის. ლენინი განრისხდა და მიუდღეეს სტალინის მისამართით წერილი უკარნახა, რომელიც ყოველგვარ პირად ურთიერთობას წყვეტდა თავის მარჯვენა ხელთან. ეს იყო ლენინის უკანასკნელი და ამევე დროს ყველაზე საბედისწერო წერილი. სტალინმა კარგად უწყვიდა, რას ნიშნავდა ეს განხეთქილება ლენინთან, და მისთვის დამახასიათებელი ჩუმი, პირქუში შეუპოვრობით ნახტომისათვის მოეშადა. ტროცკიმ იხმო კამენევი, ყველაფერი შეატყობინა და მოითხოვა შეცვლილიყო ეროვნული პოლიტიკა, კერძოდ, საქართველოს საკითხში, ხოლო სტალინს ბოდიში მოეხადა კრუჰსკიას წინაშე. კამენევი გადასცა სტალინს. სტალინმა დათმო: ბოდიში მოიხადა, ხოლო კამენევი საქართველოში გაგზავნა ეროვნული პოლიტიკის შესაცვლელად. შინაგანად კი ბოდიშით აივსო და სხვა რამისათვის მოეშადა. სწორედ ამ დროს ლენინს მეორედ ჩაექცა სისხლი. სტალინმა კამენევს სასწრაფოდ დეპეშა გაუგზავნა. კამენევი საკმაოდ ეშმაკი იყო და მყისვე მიხედა, როგორ უნდა მოქცეულიყო: როცა ტფილისში ჩამოვიდა, ორჯონიკიძის - სტალინის თანამოაზრის - მხარე დაიჭირა. სტალინიური პოლიტიკის შეცვლის მაგიერ მის განმტკიცებას შეუწყო ხელი.

ასე დამთავრდა ეს პატარა ინტერმედია. მაშინ უკვე გადაწყდა, ვინ გაიმარჯვებდა მომავალში. ჩაექცა თუ არა ლენინს სისხლი, ტროცკიმ ისტორიული სიმამაცე და საკუთარი თავის რწმენა დაკარგა. მან არ იცოდა, რომ ქართულენაში ჰედეს, „გამბედაობას“, ჰედნიერებას ერთი ძირი აქვს. სტალინმა კი იცოდა, და არა მხოლოდ ასოების მიხედვით, თუმცა მესამის - ბედნიერების - აღსაქმელად იმთავითვე აკლდა ორგანო. ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში მან აბედა ყოფილიყო ლენინი რაც შემდეგ მოხდა, მხოლოდ გაღვივება იყო ჩანასახისა. მოკვდა თუ არა ლენინი, სტალინმა სამუდამოდ მოაშო ტროცკი. ორი დემონის ბრძოლაში, როგორც ყოველთვის, აპრიმანმა - სიძულვილის ნაშიერმა - დაამარცხა ლუციფერი. სხვა დიადობების დამარცხება ადვილი საქმე იყო. სტალინმა ლენინის ადგილი დაიკავა.

გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, წლები. ოპოზიციური მარჯვენიდან და მარცხნიდან თავს ესხმოდნენ სტალინს. სტალინი, მრავალმხრივ გამოცვლილი, მუდამ იმარჯვებდა. დამარცხებული ჯდს იხრიდნენ მის წინაშე, იხოქებდნენ და ცოდვებს ინანიებდნენ. „ლეგენდარული ქართველის“ გამარჯვებები ყველას უკვირდა და ლენინის მიერ შერქმეულ ამ მეტსახელს ახლა ყველა ყურადღებით აკვირდებოდა. უკვირდით და ვერ გაეგოთ: როგორ? საიდან ასეთი ძალა ამ ეველურ, უხეშ კავკასიელში? მათ ვერ გაეგოთ, რომ სტალინის ბოლშევიკურ ფსიქიკაში დაუშრეტელი ინსტიქტები კვებოდნენ რაციონს. სწორედ ეს იყო გადაწყვეტი გამარჯვებისთვის. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, სტალინი დღითი დღე იზრდებოდა და ვერავითარი ძალა ვეღარ აჯობებდა მას. ყოფილ რუსეთის იმპერიაში უმითო ეპოქას ერთბაშად არნახული ტოტემური ძალის მქონე კაცი მოეგლინა.

რევოლუციის ბედი, ლენინი, კუბოში იწვა ბალზამირებული - მით ახალი ფარანისა. რევოლუციის მებრძოლი ტროცკი, გაგდებული, ბოსფორის ნაპირებზე მემუარებს წერდა. რევოლუციის საჭე ხელთ ეპყრა სტალინს. ის იჯდა კრემლში როგორც ადამიანადქცეული რადიომიმღები: საბჭოთა ქვეყნის კიდით კიდედან უთვალავ ტალღებს იღებდა. ის ამ ტალღების მხოლოდ მიმღები კი არ იყო, არამედ მათი შემოქმედი და განმსჯელი. ერთი განკარგულებით შეაჩერა ქვეყნის კოლექტივიზაცია, როცა „წარმატებმა“ თავრუ დაახვია განსაკუთრებით ყოჩაღებს და ლამის კატასტროფა გამოიწვია. თვითონ უცნაური მოლექულა თერამეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშათა მასების მოლექულურ პროცესებში ყვინთავდა და არც ერთი მოლექულა ხელშეუხებელი არ დარჩენია. სხვა თანამებრძოლი რევოლუციამდე რუსეთიდან შორს ცხოვრობდნენ: რუსეთის განვითარებას ევროპის ემიგრანტული მხნარდებიდან ადვენებდნენ თვალს. სტალინი კი მუდამ მუშათა მასების ქარბორბალაში ცხოვრობდა - მუდამ უჩინარი, მაგრამ ქვედითი ელემენტი. ძველ დროში ტომის ბელადში მთელი ტომის ძალა იყრიდა თავს, სტალინიში შეგროვდა პროლეტარული ენერგია, და როცა რევოლუცია ძლევამოსილად გაიშალა, მან ამოყვინთა: ეს რევოლუციის განხორციელებად იქცა. ის უკვე აღარ იყო ადამიანი, ის იყო არსება, სასტიკი და საშინელი.

ზოგიერთები მას ჩინგიზ-ხანსა და თემურს ადარებდნენ. შედარება მცდარი გახლდათ: მონგოლ დამპყრობლებს ჰქონდათ ცეცხლი, გაქანება და სიმამაცე. სტალინს არ ჰქონია ცეცხლი, ის ცივისსხლიანი იყო. ეს ერთგვარად აორმაგებდა კიდევ მის ძალას. სტალინს არ უხდებოდა ნიცშეს სიტყვები გენის სიმწიფის შესახებ: „ის კვლავ პოულობს სერიოზულობას, რომელიც ბავშვობაში ჰქონდა თამაშისას“. მას არ ჰქონია ეს სერიო-

ზულობა, თვით ბავშვობის ასაკში იქვლდა ბავშვობა, თავიდანვე რალაც ამბიმებდა და არ უყვარდა თამაში. ყოველგვარი კომპლექსებისა და შეფერხებების გარეშე მოქმედებდა როგორც ბუნების ძალა, ბრმად და მძლავრად.

მას შურიანობას მიაწერდნენ და შემდეგს ჰყვებოდნენ. პეტროგრადის გადარჩენისათვის პოლიტიკურომ ტროცკი „წითელი დროშის“ ორდენით დააჯილდოვა. უეცრად კამენევი წინადადება შემოიტანა, ასეთი ორდენი სტალინსაც ეკუთვნისო. „რისთვის?“ ხმამაღლა იყვირა კალინინმა. ბუხარინმა განმარტა: „ნუთუ არ გესმით? ეს ლენინის იდეაა. სტალინი ვერ იტანს, როცა არ იღებს იმას, რაც აქვს სხვას. ის ასეთ რამეს არასოდეს პატიობს“. ამას იხსენებდნენ და ვერ ამჩნევდნენ, რომ თუ მართლაც ასე იყო, მაშინ ლენინისთვის ადამიანის ცნობას უმტყუნია. სტალინს არ შეეძლო შურიანი ყოფილიყო. მართალია, სხვისი გამორჩეულობა აუტანელი იყო მისთვის, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს სურდა თვითონ ყოფილიყო გამორჩეული: იგი რჩეულობას საერთოდ ვერ იტანდა, ვერც საკუთარს და ვერც სხვისას. საკუთარი თავის რჩეულად გრძობა თრობის ნიჭია: სტალინი კი დიონისოს გადატანით მნიშვნელობითაც კი არასოდეს უცხოვრია. სხვათა შორის, ეს თვისება იყო ჯავშანი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. იგი არ იცნობდა გამარჯვების ბანგს.

ყველას აკვირებდა სტალინის ასკეტიზმი, ყველა აღტაცებული იყო იმით, რომ მას არ იზიდავდა მიწიერი სიამოვნებანი: არც ქალი, არც თამაში, არც ღვინო. მაგრამ ვერ ამჩნევდნენ, რომ სტალინს სრულებით არ სჭირდებოდა ასკეტიზმი: ასეთი რაღაცეებისათვის მას უბრალოდ ორგანო აკლდა. უნდა გიყვარდეს, რათა სიამოვნება იგრძნო - თავდავიწყებამდე. მაგრამ სტალინს არასოდეს დაუიწყინა თავი. ხოლო დოსტოევსკის სიტყვებს ჯოჯოხეთის შესახებ - თუმც არც ჯოჯოხეთისა სწამდა და არც სამოთხისა და ყოველგვარ ღვთის რწმენას, ლენინის მსგავსად, გვამომავლობას ადარებდა - დოსტოევსკის სიტყვებს: „ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ ძალგდის სიყვარული“, ყველაზე მეტი თავსატეხი უნდა გაეჩინა მისთვის. მას არ ჰქონდა სიყვარულის ნიჭი. აქ დაელო ხახა უღრმეს სიცარიელეს მისი კაეშნისას, დამნაშავეობის შეუვად ნიღაბს რომ ამოშვარებოდა.

საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა. ძალაუფლების პატრონი, მაგრამ არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი. რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი წარწერით „მომაკედნებელია“. მასთან ტელეფონით საუბარიც კი ყველას თრგუნავდა. მისი საშიში შემოქმედებისაგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე ძლევამოსილად აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოს - ცივი და ბრმა ბედისწერა. როცა ხანდახან იდუმალი კონტაქტი გადაირთვებოდა, როცა ის - შეუდრეკელი - დროებით დენის ქსელიდან გამობოლდებოდა დარეტანებული და გაუცხოებული, როცა შეშინებული გრძობდა, როგორ ეცდებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჯულაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესლა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალპამიერის ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე“.

შარბილი ნარკოტიკებით, ეს რაღაც ჩვენთან მოხდა რიგში, რადგან დაიჭიროვნენ?

ესპანეთის სახელმწიფოს მეთაური მეფე ხუან კარლოსი თავისებური რეკორდსმენია. ოგი რეაგერ გადაურჩა მის საწინააღმდეგოდ მოწოდებულ ტერორისტულ აქტებს სულ ახლახანს ცნობილი გახდა 1985 წელს მოწოდებული ტერაქტის დეტალები, რომლის წარმართებით დამთავრებაც შეეძლო ესპანეთი სულ სხვა გზით წაეყვანა.

სახელმწიფო გადატრიალების 1981 წლის 23 თებერვლის წარუმატებელი მცდელობიდან სამი წლის შემდეგ, როცა ულტრამარჯვენეებმა პარლამენტი აიყვანეს მძევლად, ფრანკისტული წესრიგის მომხრეებმა ერთხელ კიდევ სცადეს გადატრიალება მოეხდინათ 1981 წელს ფრანკისტებს მეფემ შეუშალა ხელი, რომელიც იმ დროს შეიარაღებული ძალების სარდალად იყო და კონსტიტუციის მხარე დაიჭირა. ამიტომ ამჯერად ტერორისტებმა სამიზნედ მონარქი ამოირჩიეს.

გადაწყდა, რომ 1985 წლის 2 ივლისს ლა-კორუნიასი დანიშნული სამხედრო პარადის დროს უნდა აფეთქებულიყო ძლიერი ნაღმი იმ ტრიბუნის ქვეშ, სადაც ხუან კარლოსთან ერთად იმყოფებოდნენ დედოფალი სოფია და ინფანტები, მთავრობის მეთაური ფილიპე გონსალესი, სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მმართველები.

ტერორისტებს ესმოდათ, რომ ფრანკიზმისაკენ დაბრუნების იდეა ძალზე არაპოპულარული იყო მასებში და ასეთი აქტი ხალხის მღელვარებას გამოიწვევდა. ამიტომ გადაწყვიტეს სხვის ზურგს უკან ამოფარება და ტერაქტის ბასკი ტერორისტებისათვის მიწერა.


ყველაფერი ზუსტად იყო გათვლილი. ექსტრემისტი - ბასკები ვერ იტანენ მონარქს, რადგანაც მას „ცენტრალიზმის“ განსახიერებად თვლიან, არც ტერაქტზე იტყობდნენ უარს ასეთი ტერორისტული აქტის განხორციელება ბასკების მხრიდან მათი ორგანიზაციის - ეტა-ს ყოველსშემდგომობას ნიშნავდა. ესეც არ იყო, მრავალი ესპანელი დაიჯერებდა ამ ვერსიის სიმართლეს, რამდენადაც 1973 წელს ბასკებმა ერთხელ უკვე აიღეს პასუხისმგებლობა თავის თავზე მთავრობის მეთაურის აღმირალ კარერო ბლანკოს მკვლელობაზე, რომელიც ფრანკოს მარჯვენა ხელი იყო.

ამჟამად დანამდილებით ცნობილია, რომ ეტა-ს მებრძოლების მოქმედებას, მათგან გაუცნობიერებულად, ხელმძღვანელობდნენ კარერო ბლანკოს მოწინააღმდეგე ძალები. საჭე ის იყო, რომ აღმირალი მხარს უჭერდა პრინცი ხუან კარლოსის კანდიდატურას ფრანკოს ადგილზე. ეს კი სულაც არ აწყობდა ფრანკოს გუნდს და თავისი ფაფორიტიც ჰყავდა - პრინცი ალფონსი დ'ამპიერე. ეს უკანასკნელი იმხანად ფრანკოს სიძე გახდა, დაქორწინდა რა მის საყვარელ შეიდიშვილზე.


ერთი სიტყვით, 1985 წელს ლა-კორუნიასი ულტრამარჯვენეებმა კიდევ ერთხელ სცადეს 12 წლისწინანდელი ფანდის გამეორება.

მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყო. სამშენებლო ფირმისაკენ - „ბერნალ პარეა“ შეისყიდეს 100 კილოგრამი ასაფეთქებელი ნიეთიერება, დაიწვეს მოლაპარაკება სარდაფის არენდის შესახებ, საიდანაც უნდა გაეთხარათ ვეიარაღი იმ ადგილამდე, სადაც ტრიბუნა შენდებოდა, დაიქირავეს მიწისმთხრელთა ბრიგადა მაგრამ ერთერთი შეთქმული ენრიკე ლოპეს დურანი შეერა იმ საშინელებამ, რაც მონარქს, მის ოჯახს და მთავრობის წევრებს ელოდათ და შეთქმულების შესახებ ესპანეთის სპეცსამსახურს შეატყობინა.

აქედან იწყება ყველაზე საინტერესო სპეცსამსახურმა შეთქმულებს აგრძელება, რომ მათი გეგმა ცნობილია და მათაც შეატყობინეს, რომ ტერაქტის განხორციელებაზე ხელი აიღეს წყენთან რამდენ დამნაშავეს თუ უდანაშაულოს დაიჭერდნენ? რატომ არ გაახმაურა ეს ამბავი ხელისუფლებამ? მრავალი ვერსია არსებობს ერთი რამ ცხადია - ეს ამბავი რომ გაეხმაურებინათ, უნდა აღედრათ საჭე, დაეწყოთ სასამართლო პროცესი გაზეთ „პის“-ის ცნობით, ერთ-ერთმა მინისტრმა, რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის გამხელა, თქვა, რომ „შეთქმულები ცოტანი იყვნენ და მათი ქმედების გასხნის შემდეგ ისინი აღარ წარმოადგენდნენ საშიშროებას ჩვენ არამც და არამც არ გვინდოდა მათთვის წამებულითა შარავანდელი გეგუქები“. ფაქტია, რომ შეთქმულთაგან არცერთი არ დაუსჯიათ.




პილარი კლინტონი



აშშ-ს პირველი ლედი ისვენებდა ნიუ-იორკის უძველეს კლუბში - University (ასპეტიზმითაა ცნობილი). პრეზიდენტის მეუღლეს თურმე სუნამო დაუსხამს და მაშინვე გამოუგდათ, ღამის წიხლისკერით. ჩვენ ამას არ მოვითმენთ. თქვენ ქცევა ბუტანელია. მოუხედავად ქალბატონი კლინტონის უღრისი ქცევისა, მის გამგლებს გინება არ წამოსცდენია!

რუსულ გაზეთებსა და მკამ რეპორტ?

სამეცნიერო-საინჟინერო, რომლებმაც „Комсомольская ПРАВДА“-ს რედაქტორის კაბინეტში „ფურკო“ აღმოაჩინეს, ასეთი რჩევა მისცეს თანამშრომლებს: „ხმადაღლა ჩართეთ მუსიკა“. საქმე ის არის, როგორი სტილის მუსიკა უნდა აირჩიოს რედაქტორმა, რომ იმუშაოს კიდევ, არც ქურები დაიჭრუნოს და მომხელელსაც რამე გააგებინოს.



მოსკოვი - ჩახოხბილის დედამკალაქი

მოსკოვის ჩახოხრან „Maxim's“-ში საზიარო კლნიშნას უჩრნალ „Ресторанные ведомости“-ს საიუბილეო ნომერის გამოსვლა.

შურნალში ყველაზე საინტერესოა დასავლეთეეროპელი დამკვირვებლების შეფასებები. მოსკოვის ცნობილ რესტორნებში - ამბობენ ევროპელი სპეციალისტები - კარგი მომსახურებაა, სამხარეულოც შესანიშნავია, საერთო სიტუაციაც არ არის ურიგო. მაგრამ ის რესტორნები, რომლებიც მოსკოვში საუკეთესოდ ითვლება, დასავლეთეეროპელი მცოდნის შეხედულებით შეიძლება განისაზღვროს, როგორც „არცთუ ურიგო“.

კიდევ ერთი მოულოდნელი დასკვნა: მოსკოვში არცთუ საუკეთესო რუსული სამხარეულოა. დასავლეთში რუსული რესტორნების კულტურა, ბოშათა ორკესტრებით, ვერცხლის ჭურჭლით, ხიზილადით, არყით და შამპანურით, სათუთად და ღირსეულად იხვეჭდა სახელს ათწლეულების განმავლობაში. იგივეს ამტკიცებს ახლახანს გამოსული ბრიჯიტ ბარდოს მემუარები, სადაც მსახიობი მის თავყანისმცემელთა ნატიფი გემოვნების დასტურად რუსულ რესტორნებში გატარებულ საღამოებს ასახელებს, როგორც მდიდრული ფლირტის აუცილებელ ატრიბუტს.

სამხარეულოზე არიან სპეციალიზირებულნი, მათი უმრავლესობა ახლახანს აღმოცენდა. მათი მუდმივი სტუმრები სულაც არ არიან ცნობილი კონოვარსკელაეები და დიდი თავადები. ასე რომ, ევროპასთან კონკურენცია მხოლოდ ფასებით თუ შეუძლიათ.

სამაგიეროდ დასავლეთელი სტუმრებისათვის აღმოჩენა გახდა ის, რაც ექვსიოდე წლის წინათ ატარებდა სახელს „სსრ კავშირის ეროვნული სამხარეულოები“. განსაკუთრებული აღფრთოვანების საგანია შესანიშნავი, მაგრამ ევროპაში ნაკლებად ცნობილი ქართული კერძები. აქედან დასკვნა: თუ თქვენთან უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა და თქვენ გსურთ მას რამე გემრიელი და ეგზოტიკური გაასინჯოთ - ქართულ რესტორანში წაიყვანეთ, შეუკვეთეთ საცივი, ხაჭაპური, ჩახოხბილი და ალაზნის ველის შესანიშნავი ღვინო. შესაძლებელია მაღლობის ნიშნად, საპასუხო ვიზიტის დროს თქვენმა მეგობარმა პარიზში ან ბერლინში რომელიმე ადგილობრივ „ტროიკაში“ ან „ბალადაიკაში“ წაგიყვანოთ, სადაც ნამდვილად რუსულ სამხარეულოს იხილავთ.

რაც შეეხება მოსკოვის რესტორნებს, რომლებიც რუსულ

ეკატერინა პარსანოვა „მოსკოვისკი ნოვოსტი“

განსხვავებები

ზინები

სასწრაფოდ, იაფად, საირმის ქუჩაზე, ბელეტაზე, კარგი პროექტის ერთოთახიანი ბინა სრული ლოჯიით, საშუალო რემონტით, ტელეფონით, სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 52-68-51; 95-77-05; 99-75-01

იყიდება 4 ოთახიანი იზოლირებული მზიანი სუფთა ბინა ბუხრიოთ, თავისუფლების მოედანთან. საერთო ფართი 152 კვმ, ფასი 50000\$ ტელ. 93-36-48

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული, იზოლირებული მაღალჭერიანი ბინა 18+16 ოთახებით. ფასი 24000\$ ტელ. 37-00-83; 93-49-85

იყიდება 2 ოთახიანი ბინა მეტრო „ისანთან“ 150 კვმ. ტელეფონით, ავტოფარეხით და სარდაფით, პატარა ეზოთი, საწყისი ფასი 11000\$ ტელ. 74-54-62; 99-71-68; 8-77-40-08-71 იკითხეთ ბესო

იყიდება ან იცვლება საბურთალოს ცენტრიდან ინდივიდუალური პროექტის 5 ოთახიანი ბინა 2 ოთახიანი ბინაზე ისევე საბურთალოზე (70 კვმ ფართობი სარდაფით) ოსებიძის 51ბ. ტელ. 38-76-15; 38-58-28 მერი ან გელა

იყიდება 5 ოთახიანი ბინა, ჭერის სიმაღლე 3,40, ოსებიძის ქ. №60 II სად. III სართ. შესასვლელი ბუღალანურის ქუჩიდან. ტელ. 37-11-62

ყვილი სასწრაფოდ ერთოთახიანი ბინას რუსთავეში. ფასი 1000\$ ტელ. 63-63-25 ჰანრი, ხატია

ყვილი ორსართულიანი ბინას ბორჯომში, ავტოფარეხით, სათავესოებით, დიდი ეზოთი და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 93-18-41 ხათუნა

იყიდება 2 ოთახიანი (გადაკეთებული 3-ოანად) ბინა 2(16) ლოჯიით, მუხის პარკეტით, მუხის კარებებით, ღურ-ალუმინის ფანჯრებით, ცხელი წყლით, ტელეფონით, რკინის კარით. ფასი 15000\$ მის. ნუცუბიძის პლატო II მ/რ IV კვ. I კ. ბინა 2. ტელ. 32-47-68

იყიდება მანქანის მაგნიტოფონები Alfa, Beta, Grundig, მანქანის მუსიკალური ცენტრი Sound2000 (მაგნიტოფონი, CD-პლეიერი გამაძლიერებელი) ტელ: 99-69-81 (გივი)

EXPRESS AUDIO SERVICE

ფონოგრაფიის-აუდიოს სერვისი

ლოცონი N 091;
ვისთავობით რეკონსტრუქციის მომსახურებას
ზევაძე პულკაძე

1. ჩაყვანის საშუალებით ჩაქვანის მონტაჟი
2. ნაკონსტრუქციის მომსახურება ან რეკონსტრუქციის
3. ქონების შეფასება უაღრესად
4. მულტიპლექსის მომსახურება

თბილისი, თბილისის რაიონი, აკოპაძის ქ. №2 სართ. ტელ. 9-15 89


„გაქანიალუბული“ ღარიბაშვილი კაპიტალიზმის დანა-ჩანგალსას მოითხოვს

„ქართლოს“ ღარიბაშვილი მოსამართლეთა შანტაჟის გზით აღწევდა სასურველ გადაწყვეტილებას. იგი ყველანაირად უშლიდა ხელს გამოძიების წარმართვას და სწორედ მისი ზღვარგადასული ქცევის გამო დააკავეთ - განაცხადა პრესკონფერენციაზე რუსთაველის პროკურორმა, ვენედი ბენიძემ.

მისივე თქმით, ღარიბაშვილის დაკავება საპროცესო კოდექსის ყველა მუხლის გათვალისწინებით მოხდა და დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. ხოლო ღარიბაშვილის მიერ მოთხოვნილი 12 ადვოკატიდან 1 არ იქნა დაშვებული, რადგან საქმეში მოწმედ დაიკითხა ყველა ადვოკატი ყოველდღე ნახულობს ღარიბაშვილს, თუმცა პროკურორს არ ესმის, რისთვის სჭირდება თავად ადვოკატს ამდენი დამცველი.

ბენიძემ ჟურნალისტებსაც ეცხადებდა, რომ როცა აუცილებლობამ მოიტანა ღარიბაშვილის მიერ შექმნილი „ადვოკატთა დამოუკიდებელი კორპორაციის“ შემოქმედება, აღმოჩნდა, რომ კორპორაცია კანონის სერიოზული დარღვევებით მუშაობდა - საერთოდ არ ჰყავდათ ბუღალტერი, არ წარმოებდა საფინანსო ოპერაციები, არავითარი საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა.

ბენიძის განცხადებით, ღარიბაშვილში ეტყობა იმდენად გაურკვევლად დაუსჯელობის სინდრომი, რომ მას შიშით ვერაფერს უბედავდა. მისივე თქმით, საგამოძიებო ქმედებები ღარიბაშვილის მიმართ არ ტარდება, რადგან იგი საერთოდ არანაირ ჩვენებებს არ იძლევა. სამაგიეროდ იმდენი კანონსაწინააღმდეგო ქმედება გამოუჩინებია ადვოკატ



ღარიბაშვილს, რომ ალბათ სულ მალე, როგორც პროკურორმა ბენიძემ იხუმრა, ამ ბოლო დროს „გაქანიალუბული“ ღარიბაშვილი კამერაში დანა-ჩანგალსაც მოითხოვს გამოძიებლებსა და პროკურორებს შესაჭმელად (გეა)

საპროკურორული საბჭოს პირველი სხდომის შედეგებს რუსეთი განიხილავს, როგორც გაეროს რეგულაციების შესრულების გარეგნულ საზღვარს, ასევე კონსტიტუციის დაცვის კონსტიტუციის დაცვის კონსტიტუციის დაცვის

ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომის შედეგებს რუსეთი განიხილავს, რადგან საქმეში მოწმედ დაიკითხა ყველა ადვოკატი ყოველდღე ნახულობს ღარიბაშვილს, თუმცა პროკურორს არ ესმის, რისთვის სჭირდება თავად ადვოკატს ამდენი დამცველი.

სოხუმში ამასწინათ გამართულ საკოორდინაციო საბჭოს პირველ სხდომაზე მიიღეს დებულება საკოორდინაციო საბჭოს შესახებ, რომლის მიზანია - შიშით ქართული და აფხაზური მხარეების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ გაეროს წარმომადგენლები, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები - როგორც შუამავლები, უფროსა და გაეროს გენერალური მდიანის მეგობართა ჯგუფში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლები - როგორც დამკვირვებლები.

მოადგენს სამუშაო ჯგუფები. საბჭოს კომპეტენციაში შედის უსაფრთხოებასთან, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებასთან, აფხაზეთის კონფლიქტით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და რეკომენდაციების მომზადება.

„გაეროს მშვიდობისმყოფელი შესაძლებლობების გამოყენებით მნიშვნელოვანია საკოორდინაციო საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების მუშაობის შედეგების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს კეთილსამართლებრივ ატმოსფეროს ფორმირებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაწყობის გადამწყვეტაში“, - აღნიშნულია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში. (პრაიმ-ნიუსი)

მოვლადი უკრაინა: კავკასიაში წლის კოლიტი- კონსტრუქციის ვითარებას, შეზარდადებს და აღიწევს

ჩეჩენეთის პირველი ეივე-პრემიერმა მოვლადი უდგომე კავკასიაში 1997 წლის საუკეთესო პოლიტიკოსები უწოდა ჩეჩენეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს - ასლან მასხადოვს, ედუარდ შევარდნაძეს და ჰეიდარ ალიევს.

„რთულია საუკეთესო პოლიტიკოსის დასახელება, მაგრამ მე ამ სამ მოღვაწეს გამოვყოფდი“, - თქვა უდგომე.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოჩენილი ცნობების კომენტარებისას, უახლოეს მომავალში მისი თბილისში შესაძლო ეივიტის თაობაზე, მოვლადი უდგომე თავე შეიკავა რაიმე კონკრეტული ვადების დასახელებისგან. „არ გამოვიტყვი საქართველოში ჩემს ჩამოსვლას, მაგრამ ჯერ უნდა განისაზღვროს განსახილველი საკითხების წრე“, - უთხრა უდგომე პრაიმ-ნიუსს.

მისი თქმით, სასურველი იქნებოდა, რომ პირველ რიგში განხილულ იქნას „კავკასიური პოლიტიკის საკითხები, რომელსაც რეკონსტრუქცია და საქართველო ატარებენ“. სხვა საკითხების დაკონკრეტებაზე ოფიციალური გროუნოს ერთ-ერთმა დიდებულმა უარი განაცხადა.

1997 წელს საქართველოს ექვემდებარებულ ჩეჩენეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი და იჩქერიის სხვა დიდებულები მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობის საკითხები, რომელიც, პირველ ყოვლისა, რეკონსტრუქციის სტაბილურობის მიღწევის სურვილზე იქნება დამყარებული.

ოფიციალური თბილისი თავს იკავებს ჩეჩენეთის დამოუკიდებლობაზე საუბრისგან, რადგან, ანალიტიკოსების აზრით, არ სურს რუსეთის ხელმძღვანელების გაღიზიანება. (პრაიმ-ნიუსი)

1 იანვრიდან კალაში უეპა მეტროპოლიტანის ახალი, კოდირებული ბარათები

თბილისის მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია აცხადებს სახელმწიფოს ხარჯზე უფასოდ მეტროპოლის უფლებების მქონე ყველა პირს, რომ 1998 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევა ახალი ბილეთები (კოდირებული ბარათები), ხოლო ძველი ბილეთების ბარათების ხმაზე და ავტომატურ გასასვლელ პუნქტებში მათი საშუალებით გასვლა შეუძლებელი იქნება.

როგორც „იფრინდა“-სათვის მეტროპოლიტენის ხელმძღვანელებიდან განხილვის, მეტროპოლის უფასოდ მოსარგებლედ ყველა პირმა სასწრაფოდ უნდა მიაკითხოს შესაბამისი უწყებებს ახალი კოდირებული ბარათის მისაღებად. გასათვალისწინებელია, რომ არცერთ კატეგორიაზე მეტროპოლიტენი ბარათებს არ გასცემს.

ლტოლივითა და განსახლების სამინისტროს ცნობით, ახალი ბილეთების ბარათების დენდრებზე გაცემა რაიონულ გამგებებში იწარმოებს.

თბილისის მეტროპოლიტენის კაბინეტის დადგენილების თანახმად, პერსონალურ პენსიონერებს, პირველი ჯგუფის ინვალიდებს, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებს და დაეთა აღმსარებლის ორდენით დაჯილდოებულ პირებს მეტროპოლიტენში სამგზავრო ბილეთების ნაცვლად, დაეინშნათ ყოველთვიური კომპენსაცია, რომელიც მათ უნდა მიიღონ შესაბამისი რაიონული გამგებების სოციალური დახმარების განყოფილებაში. (იფრინდა)

საზღვარგარეთი მოსალოდნელია საბჭოთა ცვლილებები ჩინეთში ხელისუფლებაში

შესაძლოა მიმდინარე წლის დასასრულამდე ჩინეთის ხელისუფლება გადააყენონ. ვარაუდობენ, რომ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს ჩინეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი.

როგორც ჩინეთის ხელისუფლებაში არსებული საინფორმაციო წყაროებიდან გახდა ცნობილი, ეს საკითხი უკვე განხილული იქნა ჩინეთის ეივე-პრემიერების სხდომაზე. მთავრობის გადაწყვეტის მიხედვით - მისი მუშაობით პრემიერის უკმაყოფილება. რამდენიმე ხნის წინ თანამდებობიდან გაათავისუფლეს მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრი. ამასთანავე, გამოირიცხული არ არის, რომ მთავრობის კაბინეტის წევრთა შეცვლა მოხდეს ეტაპობრივად, რაც სამთავრობო კრიზისის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. (გეა)

სენატორებმა ნემცოვს პასუხი მოთხოვეს

ბუშინ რუსეთის ფედერაციის პარლამენტის ზედა პალატამ გადაწყვიტა, რომ ფედერაციის საბჭოს სხდომაზე პირველი ეივე-პრემიერი ბორის ნემცოვი მიიწვიონ, რათა მან დეპუტატებს განუხარტოს, თუ რატომ მოუწოდებს ინვესტიციებს, არ დააბანდონ ინვესტიციები ე.წ. „წითელი ზოლის“ ოლქებში.

აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დააყენა ფედერაციის საბჭოს უმუშრობის და თავდაცვის საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე, ტამბოის ოლქის გუბერნატორმა, ალექსანდრ რიბაჩოვმა. საბჭოს დღევანდელ სხდომაზე სენატორებმა აგრეთვე უარყვეს ნემცოვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მთავრობას რეგიონების ვალი აღარ აქვს. (გეა)

ინვლისური ენა გაერთიანებული პრობის ოფიციალური ენა გახდება

გაერთიანებული ევროპის მოწოდების თაობაზე გამოკითხვები რამდენჯერმე ჩატარდა და ამ გამოკითხვების შედეგები ევროპარლამენტის სხდომაზე იქნა განხილული. გამოირიცხული არ არის, რომ ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვების შედეგები გაეფენას იქონიებენ ევროპარლამენტის გადაწყვეტილებებზე და ინვლისური ენა ევროპის სახელმწიფოებში ექსპანსიას განაგრძობს. (გეა)

იტალიელ კომუნისტებს ამერიკელი სამხედროები მოგუზრდათ

იტალიის კომუნისტებმა, რომელთაც ქვეყნის პარლამენტში მყარი პოზიციები უკავიათ, მთავრობას რესპუბლიკის ტერიტორიიდან აშშ-ის სამხედრო ბაზების გაყენა მოთხოვეს.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური სამხედრო ბაზების ყოფნისათვის მიზეზები არ არსებობს, რადგან აღმოსავლეთიდან საფრთხე უკვე დიდი ხანია აღარ გვემუქრება“, - განაცხადა იტალიელი კომუნისტების ლიდერმა, არმანდო კასტელმა. მისი თქმით, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ამერიკელი სამხედროები თავიანთ ბაზებს იტალიის ტერიტორიაზე სხვა პრობლემების გადასაჭრელად არ გამოიყენებენ. იტალიის ტერიტორიაზე აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ბაზები 50-იანი წლების დასასრულს გაჩნდნენ. (გეა)

ალმოსავლეთი გერმანია ეკონომიკური პრიზის განიცდის

დასავლეთი და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანების შემდეგ ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების მნიშვნელოვანი ნაწილი იმდენად ღრმა ეკონომიკური კრიზისის განიცდის, რომ ამ რაიონების მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დასავლეთში საცხოვრებლად გადასვლა გადაწყვიტა.

ყველაზე მეტად დაზარალებულნი ყოფილი ვდრ-ს ჩრდილოეთი რაიონები. კერძოდ, საპორტო ქალაქ როსტოკიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში 35 ათასამდე მოსახლე წავიდა უკეთესი საცხოვრებელი პირობების საძებნელად. ანალოგიური სიტუაციაა ლეიპციგსა და შვერინში. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ თუ უახლოეს მომავალში ამ რაიონებში ეკონომიკური სიტუაცია არ შეიცვლება, მაშინ ეს რაიონები დატოვებული და გაუდაბნოვდება. (გეა)

მთავარი რედაქტორი
**ნოდარ
ბრიგალაშვილი**

გაზეთის
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის
მთავარი: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაყვისუფლავის მოედანი, კუთხისი ძ. 5
ბაზათის ინტელსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის
სასამართლოს მიერ. №06/4-444